ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს სხდომა #23

2018 წლის 24 სექტემბერს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით ოცდამესამე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა დელეგატთა უმრავლესობა. სხდომას ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე.

დღის წესრიგი:
1. წევრთა შემადგენლობის განახლების საკითხი;
2. საორგანიზაციო საკითხებზე მსჯელობა;
3. მზადება ფონდ ,,ორბელიანი საქართველოს“ კორდინატორთან ნინო გიორგაძესთან შეხვედრისათვის;
4. შეხვედრის შეჯამება.

2018 წლის 24 სექტემბრის შეხვედრაზე საბჭომ იმსჯელა წევრთა ვალდებულებებზე, მათ მოვალეობებზე და ჩანაცვლების საკითხებზე. ასევე განიხილეს ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხები, საბჭოს წინაშე არსებული გამოწვევები და სამომავლო გეგმები.

ასევე მომზადდა ჩამონათვალი რიგი საკითხებისა, რომელიც რიგგარეშე სხდომის ფარგლებში ფონდ ,,ორბელიანი საქართველოს“ კორდინატორთან ქ.-ნ ნინო გიორგაძესთან შეხვედრისას უნდა იქნეს განხილული.

სხდომის დასასრულს მოხდა განხილული საკითხების შეჯამება, ხოლო შემდგომი რიგგარეშე შეხვედრა ჩაინიშნა 27.09.2018 წ. 19:30 სთ-ზე ქ.რუსთავის მერიაში.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

საქართველო, რუსთავი 24 / 09 / 2018წ.